ურთიერთგაგების მემორანდუმი

იტალიის რესპუბლიკის გარემოს, მიწისა და ზღვის სამინისტროს

და

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის

კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის, რისკის შეფასების, ადაპტაციისა და შერბილების სფეროში

თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და იტალიის რესპუბლიკის გარემოს, მიწისა და ზღვის სამინისტრო, შემდგომში მოხსენიებული, როგორც "მხარეები";

ითვალისწინებენ რა, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია #A/RES/70/1 *"ჩვენი სამყაროს ტრანსფორმირება: მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030";*

აღნიშნავენ რა, რომ საქართველო და იტალიის რესპუბლიკა არიან გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) და კიოტოს ოქმის მხარეები;

აღნიშნავენ რა, რომ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მხარეთა 21-ე შეხვედრაზე მიღებულ იქნა პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მიზნით და რომ საქართველოს და იტალიის რესპუბლიკის მთავრობებმა ზემოაღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოაწერეს 2016 წლის 22 აპრილს;

ხაზს უსვამენ რა, რომ პარიზის შეთანხმება, კონვენციის, მათ შორის, მისი ამოცანების განხორციელების გაძლიერების თვალსაზრისით, მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერებას მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მცდელობების კონტექსტში;

მხედველობაში იღებენ რა, რომ 2015 წლის სექტემბერში საქართველომ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას (UNFCCC) წარუდგინა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის“ (INDC) დოკუმენტი;

ხაზს უსვამენ რა, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა ადაპტაციასა და შერბილებასთან დაკავშირებული ქმედებების და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება იმ ქმედებების განხორციელების და მხარდაჭერისთვის, რომელთა მიზანია ემისიების და მოწყვლადობის შემცირება და კლიმატისადმი მედეგობის უზრუნველყოფა;

ითვალისწინებენ რა, რომ პროექტები განახლებად ენერგიაზე ქმნიან პოტენციურ შესაძლებლობებს, რომ ისინი შემუშავდეს და განხორციელდეს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მექანიზმებისა და შესაძლოა, ასევე პარიზის შეთანხმების თანამშრომლობის მექანიზმის ფარგლებში და რომ ამ პროექტებს შეუძლიათ ეფექტიანი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებასა და სათბურის გაზების ემისიის შემცირებაში;

ითვალისწინებენ რა, რომ მწვანე ეკონომიკა აღიარებულია რეგიონულ პრიორიტეტად გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) არეალში და რომ მდგრადობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის შექმნას შეუძლია ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და ხარისხის გაუმჯობესებას და ასევე ადამიანების კეთილდღეობას;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მიზანი

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანია, მხარეების კომპეტენციის ფარგლებში, ძალისხმევის გაძლიერება და კოორდინირება, კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან ბრძოლა და მის უარყოფით შედეგებთან გამკლავება, რეგიონში კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის და რისკების შეფასების მექანიზმების მხარდაჭერა, სუფთა და ეფექტიანი ენერგიის ხელშეწყობა, ემისიების დაბალი დონის მიღწევის მიზნით ეკონომიკური და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის სტიმულირება და გავრცელება, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა, ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება და შესაძლებლობების განვითარება საქართველოში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიზნით.

მუხლი 2
თანამშრომლობის სფეროები

მხარეები ითანამშრომლებენ საერთო ინტერესების სფეროში შემავალ შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე:

a) მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გავრცელება, რომლებიც დაკავშირებული იქნება კლიმატის ცვლილებაზე დაკვირვებასთან და რეგიონის ეკონომიკის პოტენციურად მოწყვლად სექტორებზე, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და ტურიზმი, ამ ცვლილების ზემოქმედების გაზომვასთან;
b) ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDCs) განხორციელება, მონიტორინგი, ანგარიშგება და კომუნიკაცია;
c) გაუტყეურების და ტყის დეგრადაციის შემცირება, ტყეების მდგრადი მართვა, ტყის ნახშირბადის მარაგების გაძლიერება და ტყის ნარჩენების გადამუშავება ბიოენერგიის საწარმოებლად;
d) შესაძლებლობების გაძლიერება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა (UNFCCC) და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების მექანიზმების განსახორციელებლად;
e) ბიომრავალფეროვნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;
f) ისეთი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის სტიმულირება და გავრცელება, რომელიც მიმართული იქნება დაბალნახშირბადიანი ეკონომიკისა და მწვანე ეკონომიკისკენ;
g) ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა და განახლებადი ენერგიის გამოყენების განვითარება;
h) შესაძლებლობების გაძლიერება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისთვის ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე;
i) კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის შესახებ საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების განვითარება;

j) ჰაერის ხარისხის მონიტორინგი;
k) საზღვაო და სანაპირო არეალების ინტეგრირებული მართვა;
l) წყლის ინტეგრირებული მართვა;
m) დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვა;
n) ნარჩენების მდგრადი მართვა;
o) ბუნებრივი საფრთხეების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნა;
p) მიწის მდგრადი მართვა;
q) მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა.

თანამშრომლობის სხვა სფეროები შეიძლება დამატებით განისაზღვროს მხარეების გადაწყვეტილებით.

მუხლი 3
საქმიანობა

მხარეებს შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ქმედებების მეშვეობით:

a) ერთობლივი პროექტების განხორციელება;

b) შესაძლებლობების გაძლიერება, ტექნოლოგიების გადაცემა და ტექნიკური დახმარება;

c) გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მათ შორის, პროგრამების, პუბლიკაციების, საექსპერტო ცოდნისა და კვლევების შედეგების გაცვლა;

d) ექსპერტების და სტაჟიორების გაცვლა, დელეგაციების ვიზიტების ორგანიზება;

e) სამუშაო შეხვედრების, სემინარების ან სხვა შეხვედრების ერთობლივად ორგანიზება;

f) კერძო სექტორის მონაწილეობის და საქმიანობის ხელშეწყობა საჯარო-კერძო თანამშრომლობის განსახორციელებლად;

g) არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების პროგრამებთან და ინიციატივებთან დაკავშირებით;

h) ფონდების მოძიების შესაძლებლობების განვითარება გლობალურ კლიმატსა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით.

თანამშრომლობის სხვა ღონისძიებები შეიძლება დამატებით განისაზღვროს მხარეების გადაწყვეტილებით.

მუხლი 4
კოორდინაცია

4.1 ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის დებულებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით მხარეები შექმნიან ერთობლივ კომიტეტს.

4.2 ერთობლივი კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორი (2) წარმომადგენელი და იტალიის რესპუბლიკის გარემოს, მიწისა და ზღვის სამინისტროს ორი (2) წარმომადგენელი.

4.3 იტალიის რესპუბლიკის გარემოს, მიწისა და ზღვის სამინისტრო წარმოდგენილი იქნება მდგრადი განვითარების, გარემოსთვის მიყენებული ზიანის, ევროკავშირისა და საერთაშორისო საქმეების დირექტორატის გენერალური დირექტორით და ერთი (1) ექსპერტით.

4.4 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოდგენილი იქნება მინისტრის მოადგილით და ერთი (1) ექსპერტით.

4.5 ერთობლივი კომიტეტი განსაზღვრავს თანამშრომლობის ზოგად მიმართულებას და სახელმძღვანელო პრინციპებს, დაამტკიცებს სამუშაო გეგმას, ზედამხედველობას გაუწევს და ხელს შეუწყობს თანამშრომლობის ღონისძიებებს და მიიღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს.

4.6 პირველი შეხვედრის დროს ერთობლივი კომიტეტი მიიღებს საკუთარ პროცედურულ წესებს, დაამტკიცებს სამუშაო გეგმას და განსაზღვრავს შეხვედრების სიხშირეს.

4.7 შემდგომ შეხვედრებზე ერთობლივი კომიტეტი:

a) მოახდენს მე-2 მუხლით განსაზღვრულ სფეროებში საქმიანობის განხორციელების კოორდინირებას;

b) დაამტკიცებს იმ დეტალურ ღონისძიებებს და პროექტებს, პროექტის ბიუჯეტისა და შესრულების გრაფიკის ჩათვლით, რომლებიც უნდა განხორციელდეს და დაფინანსდეს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში;

c) სისტემატურად განიხილავს და შეაფასებს თანამშრომლობის საქმიანობის მდგომარეობას, პროგრესს, მიღწეულ შედეგებსა და მიღებულ გამოცდილებას.

4.8 ერთობლივი კომიტეტის შეხვედრა გაიმართება წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

მუხლი 5
სამუშაო გეგმა, პროექტები და საქმიანობა

5.1 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ მხარეები დანიშნავენ ექსპერტებს, რომლებიც მოამზადებენ საშუალოვადიან სამუშაო გეგმას, რომელიც გადაეცემა ერთობლივ კომიტეტს დასამტკიცებლად, როგორც განსაზღვრულია 4.5 მუხლით.

5.2 პროგრამების, პროექტების და ღონისძიებების განხორციელებისას ყურადღება მიექცევა საზოგადოების, კერძო და არაკომერციული სექტორების მონაწილეობას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტების, სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის ორგანოების და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ორივე მხარის დაწესებულებების მონაწილეობას.

5.3 თითოეული მხარის სამართლებრივი ჩარჩოს და შიდასახელმწიფოებრივი ვალდებულებების გათვალისწინებით, პროგრამების, პროექტების და საქმიანობის განხორციელება დაეფუძნება მიუკერძოებლობის, თანასწორობის, ორმხრივობის და საერთო ინტერესების პრინციპებს.

მუხლი 6
განხორციელების საშუალებები

6.1 თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ძირითად საკითხთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს, მათ შორის, მიმდინარე პროგრამებთან, საქმიანობასთან და პროექტებთან დაკავშირებულ ხარჯებს, დაფარავენ მხარეები ერთობლივი კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით და შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად.

6.2 ასეთი ხარჯები შესაბამისობაში იქნება მხარეებისთვის ხელმისაწვდომ საბიუჯეტო რესურსებთან და არც ერთ შემთხვევაში არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს საქართველოს მთავრობისა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობისთვის.

6.3 მხარეები ერთობლივად წარუდგენენ საპროექტო წინადადებებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას და ევროკავშირის ინსტიტუტებს (*მათ შორის*, ევროკომისიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, მსოფლიო ბანკს და სხვა) საქართველოს მთავრობისთვის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა (UNFCCC) და მისი ინსტრუმენტების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დახმარების მიზნით.

მუხლი 7

კონტრიბუცია

7.1 მხარეები შეთანხმდებიან საქმიანობების დაფინანსებაზე და შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად შექმნიან მექანიზმს ხარჯების, აღრიცხვისა და აუდიტის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

7.2 მხარეები თანხმდებიან, რომ იტალიის რესპუბლიკის გარემოს, მიწისა და ზღვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ყველა ფინანსური რესურსი, რომელიც განკუთვნილია წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დებულებების მიხედვით შემუშავებული პროგრამების, პროექტებისა და საქმიანობისთვის, დაექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებით დაბეგვრისა და მისი დაბრუნების მარეგულირებელ დებულებებს.

მუხლი 8
მოქმედი კანონმდებლობა

8.1 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი გავლენას არ მოახდენს ან ხელს არ შეუშლის მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს მესამე მხარის მიმართ.

8.2 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი განხორციელდება საერთაშორისო სამართლის პრინციპების და იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების შესაბამისად, რომელთა მხარეებიც არიან საქართველო და იტალიის რესპუბლიკა, ორივე ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობების, ასევე ნებისმიერი იმ ვალდებულების შესაბამისად, რომელიც წარმოიშვება იტალიის რესპუბლიკის ევროკავშირის წევრობის შედეგად.

მუხლი 9
დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ამოქმედდება ხელმოწერის დღიდან და ძალაში დარჩება ხუთი (5) წლის განმავლობაში და ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით. თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედება მეორე მხარისათვის ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ დიპლომატიური არხების მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში ურთიერთგაგების მემორანდუმი მოქმედებას წყვეტს მეორე მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

9.2 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით და ამოქმედდება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული სახით მიღებული დოკუმენტი წარმოადგენს ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

9.3 ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეთა შორის კონსულტაციების და/ან მოლაპარაკებების გზით.

9.4 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტა გავლენას არ მოახდენს თანამშრომლობის მიმდინარე პროექტებზე და/ან ინიციატივებზე, რომლებიც უკვე შეთანხმებულია მხარეების მიერ.

შესრულებულია ქ. ბონში, გერმანია, 2017 წლის 15 ნოემბერს, ორ (2) ორიგინალად, თითოეული იტალიურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. განსხვავებული განმარტების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

იტალიის რესპუბლიკის გარემოს, მიწისა და ზღვის სამინისტროს სახელით

მდგრადი განვითარების, გარემოსთვის მიყენებული ზიანის, ევროკავშირისა და საერთაშორისო საქმეების დირექტორატის გენერალური დირექტორი

ფრანჩესკო ლა კამერა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელით

მინისტრის მოადგილე

ეკატერინე გრიგალავა